

სპორტბიულ

პროფესიონალი
ბიზნისი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან საშუალო, 29 აპრილი 1997 №48 (413) ფასი 40 თეთრი



ზურაბ
მამკელია

ლონდონიდან

ცხადია, ყველას

თავისი საყვარელი გაზეთი აქვს. დიდი-დიდი, კაცმა ორისამი გაზეთი იყიდოს. ასეა ინგლისშიც, მაგრამ ჩვენ, აქ ჩამოსულ ქართველ ჟურნალისტებს ლამის ყველა გაზეთის გაცნობა გვიწევს. განსაკუთრებით ძნელია ამის გაკეთება კვირა დღეს, როცა თითოეული გამოცემა ასეულობით გვერდს მოიცავს, მაგრამ სხვა რა გზაა. არადა, კვირას 12 გაზეთი რომ შევიძინე ვიფიქრე, ამას ერთი შერპიტ უნდა მოყვებოდეს, ამხელა ბარგი მინ რომ მოგატანინოს-შეთქი. მოკლედ, ასეა თუ ისე, გავცნოთ საკვირაო ინგლისურ პრესას.

თავიდანვე ვიტყვი, რომ ჩვენი ნაკრების ჩამოსვლაზე სიტყვაც არაა დაძრული, თუმცა კი შაბათის საღამოს ვარჯიშზე აქაურ ჟურნალისტთა ტევა არ იყო. ყველაზე საინტერესო „თამაში“ გამოქვეყნებული წერილი მეჩვენა:

„შეიძლება თუ არა, რომ მეზი ორჯერ ერთსა და იმავე ადგილზე, „უემბლიზე“ დაეცეს? თუ ცრურწმენას აყვებით, სასიკეთოს ვერაფერს დაინახავთ — ყველაფერი ისევე ხდება, როგორც იტალიასთან წაგებული მატჩის წინ: საქართველოს, იტალიასავე ახალი მწვრთნელი ჰყავს; დავით ყიფიანმა, ჩეხარე მალღინივით, ჩვენამდე ერთი ამხანაგური თამაშის ჩატარება მოასწორო და მანაც მოიგო, ოღონდ გამანადგურებელი ანგარიშით — 7:0. დამარცხდა სომხეთი. მანამდე საქართველოს ნაკრებმა 7 თამაში ზედიზედ წააგო, ამიტომ ჩივიდნენ წასვლა გასაკვირი სულაც არ იყო. ყიფიანი გამორჩეული ფეხურა გახლდათ თბილისის „დინამოს“ გუნდში, თავის დროზე თასების თასს რომ ფლობდა. იგი ამბობს — ოპტიმისტი არა ვარ, რეალისტი ვარ, მაგრამ მაინც მეჯერა, რომ ფინალურ ეტაპზე გასვლა შეუძლია.“


„ინგლისელები კარგად იცნობენ ქინქლაძეს. მომავალ სეზონში ისინი თემურ ქეცბაიასაც გაიცნობენ, ზაფხულიდან „ნიუკასლს“ რომ შეუერთდეს. ქართველთა მესამე შემტევი ძალაა შოთა არველაძე, რომელმაც სომხეთთან თამაშისას გვაგვრძოინა, თუ რა უნდა „უემბლიზე“.

„ახლა პრესაში ტრადიციული ბჭობაა — ყველა მატჩი ძნელია, ბურთი მრგვალია და ასე შემდეგ, მაგრამ ფაქტი ერთია: ეს თამაში უნდა მოვიგოთ. მართალია, ჩვენ კარგად ვიცით, რეალურად რა ძალაა ქინქლაძე და კომპანია, მაგრამ ოთხშაბათის ინგლისის ნაკრების არტილერია უფრო ძლიერია იქნება — შირერი და შერინგემი ვერაბის ჩემპიონატის მერე პირველად შეწყველდებიან. ისე, მთავარია, უკანმოუხედავად არ შევუტოთ — ერთი გოლი და სამი ქულა საკმარისია.“

ამ ბოლო მოსაზრებას ეთანხმება ლეს ფერდინანდიც, რომლის ინტერვიუ „სანდი მირორში“ გამოქვეყნებული. „ნიუკასლის“ ფორვარდი, რომელიც, ალბათ, ოთხშაბათს სასტარტო შემადგენლობაში არ იქნება, ამბობს: კარგად ვიცი ქართველთა ძალა, ვიცი, რა შეუძლია ქინქლაძეს, თანაც ამჯერად მოედანი, თბილისურისგან განსხვავებით, საუკეთესო იქნება, რაც ქართველებს თავისი თამაშის უკეთ წარმართვაში დაეხმარება. მიუხედავად ამისა, ჩვენები პერსონალურად არაფერს აიყვანენ და ალბათ ისევ ბეტისა და ინსის წყალობით ვეცდებით ნახევარდაცვაში ვითარების გაკონტროლებას. ანგარიშს მნიშვნელობა არა აქვს. ბოლო-ბოლო, იტალიამაც მხოლოდ ერთი ბურთით მოუგო საქართველოს მთავარი სამი ქულა.“

„თამაშის“ მიმოხილველისა და ფერდინანდის ნაღაპარკები თითქმის მთელი იმ განწყობილების გამოხატულებაა, აქაურ პრესაში რომ სუფევს. არავინ

უემბლის შეიძლება მეზი დაეცეს



ჩვენ ქინქლაძე გვჭირდება და ყველაფერს გაგაკეთებთ მის გადმოსაყვანად. კენი დალგლიშმა უკვე მტკიცედ გადაწყვიტა ეს და ამბობს — ქინქის შეუძლია ჩემპიონობა მოგვითანოს.

თიზოვს ინგლისის ნაკრებისგან მაინც-დამაინც დიდი ანგარიშით მოგებას, თუმცა, ამ საქმის მთავარი სპეციალისტები, ინგლისელი ბუკმეიკერები ნამეტანი ეჭვის თვალით უყურებენ ჩვენი ნაკრების შანსებს — საქართველოს მოგებაზე დადებული თანხა გამართლების შემთხვევაში თხუთმეტჯერ გაიზრდება და ისე გიბრუნდება.

ჯანდაბას ტრეპლიზატორი, ყომარი და მისთანები. ერთი გოლი და სამი ქულა არც ჩვენთვისაა ურიგო. ურიგო კი არა... მოკლედ, ამას თავი დავანებოთ და „სანდი სპორტში“ დაბეჭდილ სენსაციურ წერილს გავეცნოთ.

„ჯორჯი ქინქლაძე“ — ასეა დასათავსებული წერილი, სადაც ვკითხულობთ: „მანჩესტერ სიტის“ ქართველი გენიოსი ქინქლაძე ალბათ 7 მილიონად „ნიუკასლში“ გაიყიდება“ — წერს მიმოხილველი სკოტ ლონი ექსკლუზიურ (ასე აწერია) რეპორტაჟში და აგრძელებს: „სიტის“ ეჩვევა აზრს, რომ კარგავს ქინქლაძეს. ფრენის ლის და ქართველს სიტყვიერი შეთანხმება აქვთ, რომ „სიტის“ პრემიერლიგაში გადასვლის შემთხვევაში გიოს წასვლა შეუძლია. ყველაფერი იქით მიდის, რომ ქინქი ამ შეთანხმებას გამოიყენებს, გიომ თქვა, თუ მე „სიტის“ დავეტოვებ, ამ გუნდის გულშემატკივრებს ჩემს გულში საგანგებო ადგილი ექნებათო.

შაბათს მანჩესტერში ქინქლაძის შეეცდომას აგენტები ფილიპ იუბერი ჩავიდა და მოლაპარაკება გადართა „სიტის“ ხელმძღვანელობასთან. იუბერს დალგლიშის წინადადება აქვს წარდგენილი. შაბათს საღამოსვე „ნიუკასლის“ ერთ-ერთმა თავკაცთაგანმა თქვა: ჩვენ ქინქლაძე გვჭირდება და ყველაფერს გავაკეთებთ მის გადმოსაყვანად. კენი დალგლიშმა უკვე მტკიცედ გადაწყვიტა ეს და ამბობს — ქინქის შეუძლია ჩემპიონობა მოგვითანოს.

„სანდი სპორტის“ ეს ცნობა გულგრილს აბა, როგორ დავგეტოვებდა — თემურ ქეცბაია ხომ ფაქტობრივად უკვე „ნიუკასლის“ წევრია და რა სჯობს, თუ „სიტის“ წამსვლელი გიოც ამ გუნდში მოხვდება. რა თქმა უნდა, ცნობის დღეასტურება გიოსთან დაეაბირე. მა-

გრამ ტელეფონით ვერ დავიჭირე და სენტ ოლბანში წასვლა მომიხდა. დიდი ხანია, გიოს ვიცნობ, მაგრამ ასეთი ალელეუბი იშვიათად მინახავს — არა, არაფერი ვიცი. შენგან მესმის პირველად — მითხრა და დაამატა — ნამეტანი კარგი ცნობაა, მაგრამ გადამოწმება არ გუაწყენსო. მერე ვარჯიშის დროც მოვიდა, საღამოს კი გიო ფილიპ იუბერთან დაკავშირებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. ისე დიდად არ უცდია — ჯერ ოთხშაბათია მთავარი, დანარჩენი მერე გაირკვევა.

მართლაც, მთავარი ხომ ოთხშაბათია. იქ შენი ფასი შედის ნაცვლად შეიძლება ათიც გახდეს, თან კარგი ცნობაც კარგი შემწეა. ყიფიანიც უპირველესად ბიჭების ფსიქოლოგიური განწყობის ამაღლებას ცდილობს, თუმცა მას რომ საფიქრალი აქვს...

ორშაბათს უკლებლივ ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი გიო ქინქლაძეზე. უფრო სწორად, მასთან ინტერვიუ ინგლისური წესით, საკუთარი კომენტარებით შეზავებული. თითქოს ერთი კაცის დაწერილიაო, სათაურად და მთავარ თემად გიოს ერთი ფრაზა აქვთ გამოტანილი, ფრაზა, რომელშიც საქართველოს ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ვარსკვლავი „უემბლიზე“ ისეთივე გოლის გატანაზე ოცნებობს, მისმა კერამა დიეგო მარადონამ ინგლისელებს 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში რომ გაუტანა. ამის შემდეგაც გაზეთები შეთქმულებით ერთსა და იმავეს წერენ — ის თამაში ჩვენ ღმერთის ხელის გამო გვანსოვს, დანარჩენ მსოფლიოს კი იმ მეორე გოლის გამო, მარადონამ საუცხოოდ რომ გაგვიტანა. ქინქლაძეც სწორედ ისეთი ღრიბლინგის შესრულებას გვაპირებსო. თავად გიოც იზღვევს თავს, არ იფიქროთ, ხელით შევდებს ვაპირებდ, მარადონას მეორე გოლს ვეულისხმობო. ყველგან წერია, რომ ქინქლაძე ინგლისის ეროვნულ გუნდში პირველად იმ თამაშში იხილა, ახლა კი ინგლისში ცხოვრობს, აქაური ყველაფერი უყვარს, მაგრამ მაინც ქართველების გამარჯვებას ურს. იმასაც წერენ, გიოს ძალიან სწავლება გული, ოთხშაბათს პოლ გესქი-

დავით მამკელია ლონდონიდან

ნი რომ ვერ ითამაშებს, თუმცა, იმასაც ამბობს, მისი არყოფნა ჩვენ ხელს გვაძლევს.

მკითხველთათვის მძაფრი თემების ძეგაში ანალოგიური ინტერვიუ „დელი მელი“ კორესპონდენტს დევიდ უოქერს ასე აქვს შელაპარაკებული: „დინამოს“ ფეხბურთელები კლუბის პრეზიდენტმა საქართველოში ატეხილ ომს განარიდა. ქინქლაძე ხუთი თვით გერმანიაში გაუშვა, მაგრამ ის ამაყი კაცია და მაინც სურდა რუსების წინააღმდეგ ომში წასვლა.“

„მარადონა ჩემი კერპია, მასთან ერთად ერთხანს „ბოკა ხუნიორსში“ ვთამაშობდი — ათქმევინებს გიოს.“

„მწამს, რომ „უემბლიზე“ აუცილებლად მოვიგებთ — ესეც გიოს სიტყვებითაა მოხსენიებული, ისევე როგორც, მე მიყვარს ინგლისური ფეხბურთი, ვინაიდან ის ათლექტურია.“

„სტადიონზე ხუთი ათასი ქართველი ქომაგი იქნება.“

თემურ ქეცბაიაზე ორი სიტყვით უწერიათ, მას შირერი მოსწონს და გულთმისნობს, პირველ გოლს სწორედ ის გაიტანსო.

შემდეგ მოკლედ დავით ყიფიანის აზრებსაც აცნობენ საზოგადოებას. აქაც ყველას ერთი ყიფიანი, ყიფიანს შირერი და ლე სო მოსდის თვალში, ლე სოს ცაცია ღარტყმები მოსწონს, შირერს კი ბობი ჩარლტონსა და სტენლი მეტიუსს უტოლებს და მარადიულ ინგლისურ კამათში, ვინ იყო ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, შირერსაც ასახელებს.

ახლა ინგლისის ნაკრებზე: აქაცაა ერთი მთავარი თემა — დალგლიშა თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედის“ 21 წლის ნახევარმცველი დევიდ ბექემი. თუმცა, „იუნაიტედის“ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს გლენ ჰოლდისთვის უთხოვია, ბექემი ქართველებთან სათამაშოდ არ გამოიძახო, დალგლიშაო. ჰოლდი ასე პასუხობს, 21 წლის დალგლიშ კაცი მე არ გამოვიდა, თუ მისი ნაკრების ღონის ფეხბურთელად აღზრდა გვინდა, ყველა შემხედრებულ უნდა ვთამაშოთ. თორემ ჩემსავით მოუვა, მისი ხნისა რომ ვიყავი და სამ მატჩში ერთხელ მათამაშებდნენ, ყოველი მორიგი შემხედრად ბუტყით მქონდაო.

ბჭობენ იმაზეც, გესქიონის არყოფნაში ბექემმა მარჯვნივ უნდა ითამაშოს თუ მოედნის შუაში. ჰოლდი ამბობს, ერთი თვის წინ, ბექესკასთან ამხანაგურ შემხედრებაში ტრავმირებული რომ არ ყოფილიყო, შუაში გამოეცდილი, თუმცა ქართველებთან ასე არ ვიზამ, მაგამპლუსისთვის ჯერ ძლიერ ახალგაზრდაა, სამი წლის შემდეგ სხვა საქმე იქნებაო.

ტრავმირებული ინგლისელების საქმე ასეა: დაშვება მეკარე იან უოქერი, მსუბუქად სამკურნალოდ არიან სტრე მაკმანამანი, რომი ფაულერი, სტიუარტ პირსი და ტედი შერინგემი.

კვირას ინგლისელებს არ უფარჯიშიათ. ჰოლდმა ფეხბურთელები გოლფის სათამაშოდ და სათევზაოდ გაუშვა.

შემადგენლობის გამოცხადებას კი, ცხადია, ორივე მწვრთნელი ერიდება. აი, ტრეპლიზატორებს კი დასაძალი არაფერი აქვთ. აქ მარტო შედეგების ფრონებს როდი სჯერდებათ. მაგალითად, პირველი გოლის გატანის ვინაობაზე შეგიძლიათ დანიშნავდეთ. ამის უპირველეს კანდიდატად ბუკმეიკერები შირერს თვლიან — ოდენ 3,25-ია კოეფიციენტი. ჩვენებურთაგან ყველაზე დაბალი კოეფიციენტი (შესაბამისად გოლის გატანის ყველაზე დიდი შანსი) ქეცბაიას უწერია — 12, მერე შოთა (13) და ქინქლაძე (17) მოდიან. რაც შეეხება ანგარიშებს, აქ ერთ საინტერესო დეტალს წაგავწყდით: ინგლისის 9:0 და ქართველების 2:0 მოგებები ერთნაირად შეფასებული — ორივეს კოეფიციენტი 81-ია.

პარიკონ ჩემპიონატის

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

უინალური პეპი

გერმანია, პოლენი. 28 აპრილი

3-4 მაისი 1997 წ.
15 საათი

სპორტის სააგენტო

«გაგბასიის თასი - 97»

პირველად საქართველოში
სამეჯლისო სპორტული
ცეკვების ეროვნული
ასოციაცია და მოქალაქეთა
ახალგაზრდული კავშირი
აწყობს

«გაგბასიის თასი»

გათამაზებს, რომელშიც
მონაწილეობას მიიღებენ:
საქართველოს, აზერბაიჯანის,
სომხეთის, ოსეთის, დაღესტნის,
ადიღეს, ყაბარდო-
ბალყარეთის, ჩეჩნეთისა და
ინგუშეთის მოცეკვავე
უემსრულებლები. აგრეთვე,
მონაწილე სტუმრები:
გერმანიიდან, ავსტრიიდან,
რუსეთიდან, უკრაინიდან,
მოლდოვიდან, ლატვიიდან...

Tbilisi - 96



რეკლამის
განთავსების
მსურველებმა
მოგვმართეთ
მისამართზე:
„მუშტაილის“



ბალი, სამეჯლისო
ცეკვების სტუდია
«თელა».

ტელეფონი: 96-52-75.

ტელეფონი 34-41-51

სარგბიელი

სპორტული ლაბარია

"CROCO"

საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXV ტური
30 აპრილი

ბასტია — ლე ავრი	1:2	4,2	8,0
რენი — მეცი	2:0	2,9	2,9
ნიცა — ლიონი	3:0	2,8	2,0
ოსერ — ვინემა	1:35	3,3	6,5
ლილი — პარი სენ ჟერმენი	2:8	2,8	2,1
ბორდო — ლანსი	1:3	3,4	7,0
მარსელი — კანი	1:6	2,9	4,7
სტრასბური — მონაკო	2:4	2,6	2,4
კაენი — მონპელიე	2:3	2,8	2,4
ნანსი — ნანტი	3:6	3,1	1,7

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
30 აპრილი

საბერძნეთი — ზორგატია	2:2	2,7	2,7
დანია — სლოვენია	1:2	4,2	8,0
0:1	1:6	3,2	3,0
ინგლისი — საქართველო (ანგარიშის გამოცნობა)	5:0		
იტალია — პოლონეთი	1:2	4,2	8,0
0:1	1:8	3,2	2,4
ნორვეგია — ფინეთი	1:25	3,8	7,5
0:1	1:8	3,2	2,4
შვეიცარია — უნგრეთი	1:4	3,2	6,0
ავსტრია — ესტონეთი	1:1	5,3	10,0
0:2	1:7	3,2	2,7
შვედეთი — შოტლანდია	1:7	2,9	4,0
ლატვია — ბელარუსი	2:1	2,8	2,8
ისრაელი — კვიპროსი	1:2	4,4	7,5
რუსეთი — ლუქსემბურგი	1:05	5,5	12,0
0:4	2:0	3,2	2,0
იუგოსლავია — ესპანეთი	1:9	2,8	3,2
მალტა — ფარერები	2:0	2,8	3,0
სან მარინო — პოლანდია	1:20	6,5	10,5
4:0	2:0	3,2	2,0
თურქეთი — ბელგია	1:8	2,9	3,4
რუმინეთი — ირლანდია	1:5	3,1	5,0
ლიხტენშტაინი — ლიტვა	9:0	5,6	1,1
გერმანია — უკრაინა	1:1	5,6	9,0
სომხეთი — ჩრ. ირლანდია	2:1	2,9	2,7
არგენტინა — ეკვატორი	1:2	4,2	8,0
0:1	1:6	3,2	3,0
პარაგვაი — ურუგვაი	2:0	2,9	2,9
ჩილე — ვენესუელა	1:5	4,7	9,0
0:2	2:0	3,2	2,0
კოლუმბია — პერუ	1:3	3,4	7,0
0:1	1:8	3,2	2,4

ამხანაგური მატჩი (აშშ-ში)

30 აპრილი

მექსიკა — ბრაზილია	6:0	3,2	1,4
--------------------	-----	-----	-----

მსოფლიოს ჩემპიონატი კოპიში. ფინეთში

29 აპრილი

გერმანია — ფინეთი (A)	7:5	5,6	1,1
-----------------------	-----	-----	-----

ნორვეგია — შვედეთი (B)	7:5	5,6	1,1
------------------------	-----	-----	-----

30 აპრილი

რუსეთი — საფრანგეთი (A)	1:1	5,6	7,5
-------------------------	-----	-----	-----

ჩეხეთი — სლოვაკეთი (A)	1:4	4,0	4,0
------------------------	-----	-----	-----

აშშ — იტალია (B)	1:4	4,0	4,0
------------------	-----	-----	-----

კანადა — ლატვია (B)	1:1	5,6	7,5
---------------------	-----	-----	-----

1 მაისი

ჩეხეთი — რუსეთი (A)	1:8	4,2	4,7
---------------------	-----	-----	-----

კანადა — აშშ (B)	1:7	3,8	2,8
------------------	-----	-----	-----

ფსონების შესაძლო ცვლილებები დაახუსტეთ ადგილზე



სარგბიელი

შამპანური,

რომელსაც დიდი ხანია ელოდით

დამზადებულია ადგილობრივი ყურძნის ჯიშების, ციკა, ჩინური გორული, მწვანე და პინოსგან

მიღებულია ღვინომასალების სრული შამპანიზაციის გზით.

ქარხანა «პაზიანი»

T: 94 16 907 94 16 87



პირველი აპროპალი

— წოდების მისანიჭებელი გამოცდები ბირმინგემში იყო დანიშნული. იქვე B კატეგორიის ტურნირი ტარდებოდა და საერთაშორისო კატეგორიის მამიბელნი ამ ასპარეზობაზე უნდა გამოეცადათ.

გამოცდები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და ყველა ქვეყანას უფლება აქვს, ორი წარმომადგენელი მიავლინოს. ბირმინგემში გამოცდაზე 38 „პროტურიენტმა“ მოიყარა თავი, რომელთაგან საბოლოოდ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მხოლოდ ოცმა მიიღო.

ჯერ თეორიული გამოცდის ჯერი იყო. გამოცდები მიუღო წესების ცოდნის ხარისხს გვიმოწმებდნენ და კითხვებზე ინგლისურად, ანც გერმანულად უნდა გვეპასუხა. რუსული ენა გამოცდაზე იკრძალებოდა.

მე ინგლისური ვარჩე, მაგრამ ძირითადად არტისტულ ენაზე ველაპარაკე გამოცდელს, რადგან ჩემი ინგლისური ლექსიკის მარაგი ძალიან მწირია. საკითხად „ხანსიკუმაკეს“ განმარტება შემხვდა. ამ გაფრთხილების შემდეგ სპორტსმენი შეჯიბრებიდან იხსენება. უნდა განმარტა, რა შემთხვევაში ეძლევა მოჭიდავეს ეგზომ მკაცრი სასჯელი.

ჩემი გამოცდელი სლოვაკი მსაჯი, გვარად ჰეპკა იყო, რომელმაც რუსული კი იცოდა, მაგრამ ამ ენას, როგორც ვთქვი, გამოცდაზე არ ავსაყენებდნენ და მეც პანტონიძის მიმართ.

თავიდან ჰეპკას ბევრი და სათითაო ვანგენ და მივახვედრე, თუ სპორტსმენი ტაბაზე ასე მორთულ-მოკაზმული გამოვიდა, შეჯიბრებიდან უნდა მოიხსნას. შემდეგ ისეთი ველების იმიტაცია გავაკეთე, როცა მოჭიდავეს შეიძლება კისერი დაუზიანდეს. მისი მეტოქე, რომელმაც ასეთი ფანდს მიმართა, შეჯიბრიდან დასაბრუნებია. ყველაზე რთული განსაზრება ის იყო, რა შემთხვევაში აძლევ მესამე გაფრთხილებას, მაგრამ გამოსავალი აქაც ვიპოვე — სკამი, რომელზეც ვიჯექი, ზურგზე მივიდე და უკან გადავადგე. ავხსნიდი თუ მსაჯმა ორთაბრძოლა გააჩერა, იმ დროს, როცა ერთი მოჭიდავე მეორეს ზურგზეა მოქცეული და ეს უკანასკნელი რეფერის ბრძანებას არ დაემორჩილა, ავტომატურად უმაღლეს სასჯელს იღებს და ასპარეზს ტოვებს.

ქართველთაგან მასზე ახალგაზრდა არავეინ გამხდარა. მსოფლიოს ჩემპიონის ოლიმპიადის მწვენიელი და ევროპის ორგზის ჩემპიონი, უბალო მკვიდრებს სხვა ნიჭიერ ქართველებთან ერთად არტისტულ მისა, რომელმაც ინგლისურის არმცოდნეს სწორედ ამ ენაზე თეორიული გამოცდა ჩააბარებინა.

ამირან ტოტიკაშვილი ახლახან დაბრუნდა ინგლისიდან, სადაც მას საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდება მიანიჭეს. ამირანი ამაშიც პირველია — მისი ტოლა არავეინ დაუფლებია ამ წოდებას.

ჰეპკამ მოიწონა ჩემი პასუხი და თეორიული ნაწილის ჩაბარება მომლოცა.

ამის შემდეგ პრაქტიკული გამოცდის დროც დადგა. ახალბედასთან ერთად ორი წლის წინ გასაერთაშორისოებული არბიტრები სჯიდნენ მოჭიდავეთა ორთაბრძოლებს. ერთ-ერთი შერკინების დროს მე არ დავეთანხმე ასეთ „მსცოდნე“ პიროვნებას, რომელმაც შემდეგ მისაყვედურა, ასეთი გამოცდელი კაცი ვარ და ჩემს გადაწყვეტილებას რატომ უგულებელყოფი. ჩემთან კომისიის წევრი და საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მოადგილე, პოლანდიელი იან სნაიდერსი მოვიდა და შემკო, შენი თვალსაზრისი მართალი იყო და კარგადაც მოიქცე, იმ მსაჯის რომ არ დაეთანხმეო. სხვათა შორის, სნაიდერსმა იმ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც პირველი ადგილი დავიკავე, გადაწყვეტილი სიტყვა თქვა, რომელმაც მე ფინალისკენ გამიხსნა გზა. პოლანდიელს ვუთხარი, სამსაჯო პრაქტიკაში ჩემი სენსი თქვენ უნდა იყო მეთქი. ამ სიტყვებმა ის ძლიერ გაახარა და მითხრა, თუ ინგლისურს კარგად იცნავი, საქმეს ისე მოვაწყობ, ის გამოცდა, რომელიც ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯობის უფლებას იძლევა, ვადაზე სამოთხე წლით ადრე ჩავაბარებინო. ამჟამად მე მხოლოდ ევროპის ჩემპიონატებისა და A კატეგორიის ტურნირებში მსაჯობის უფლება მაქვს.

— თქვენ საქართველოს ნაერების ერთ-ერთი მწვრთნელიც ბრძანდებით. როგორ შეუთავსებთ ამ მოვალეობას სამსაჯო საქმიანობას?

— ალბათ ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ნაკრებისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთო. როცა საერთაშორისო შეჯიბრზე ვიქნები, ყოველნაირად ვეცდები, სხვათაგან ქართველი ბიჭების დაჩაგვრა გამოვიცხო.

ამირან ტოტიკაშვილი პირველი ევროპელი მსაჯია, ვინაც ადრე მსოფლიოს ჩემპიონი იყო, ასეთი კი მსოფლიოში სულაც ორია — ამირანი და იაპონელი ნინომია.

მრამლე კიბილავშილი

მსოფლიოს ჩემპიონატი

26 აპრილი.

„A“ ჯგუფი. ჩეხეთი — გერმანია 2:1, ფინეთი — საფრანგეთი 6:1

„B“ ჯგუფი. კანადა — ნორვეგია 7:0, შვედეთი — იტალია 5:3

26 აპრილს ფინეთში დაიწყო მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი. ეს პირველობა ახალი პრინციპით ტარდება — შემდეგ ეტაპზე ჯგუფებიდან სამი გუნდი გადის. პირველ დღეს სიუპრიზი არავეინ შემოუთავაზებია. თითქმის მთლიანად პროფესიონალებისაგან დაკომპლექტებული კანადის ნაკრები იოლად გაუმკლავდა ნორვეგიის გუნდს. ოთხი შაბა სანდერსონ (2+1)-გრეტონ-ნოლანის სამეულის ანგარიშზეა.

ძალზე კარგად გამოიყურებოდა ფინეთის ნაკრები. არცთუ ძლიერ მეტოქეს მასპინძლებმა შემტევი და ლალი თამაში აჩვენეს. ორ-ორი შაბა იოკინენმა და ნურმინენმა შეაგდეს ფინელები პროფესიონალებს არ მოისაკლისებდნენ, მაგრამ სანსონელი პელტონენისა და ვანკუერელი ლუმეს გარდა მორჩილად სუბერვარსკლავ ვიიუუსაც ელიან.

მეფარი ბრძოლა გააჩაღეს ჩეხებმა და გერმანელებმა. ორი პერიოდის განმავლობაში უშედეგო შეტევების შემდეგ ვუოტეკის (2 პასი) მიერ წამოწყებული ორმა კომბინაციამ, როგორც იქნა, ჩეხეთს გამარჯვება მოუტანა.

შედეგისა და იტალიელების ორთაბრძოლაში კი სკანდინავიელია უბრატესობა აშკარა იყო. გამარჯვების წერტილი ბოლო წუთებზე იონსონმა (2 შაბა) დასვა.

27 აპრილი.

„A“ ჯგუფი. რუსეთი — ხლოვაკეთი 2:2, ფინეთი — ჩეხეთი 1:2.

„B“ ჯგუფი. აშშ — ლატვია 5:4, შვედეთი — კანადა 7:2.

რუსები, პირველად ბოლო წლების განმავლობაში, პროფესიონალების გარეშე დარჩნენ (მხოლოდ ნიკოლიშინი მიიწვიეს) და, ფაქტობრივად, საკუთარი ძალების იმედს აკრძალეს. ამიტომაც იყო, სლოვა-

კები რომ გაუთამამდნენ — მხოლოდ მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე იხსნა სკოპიეცემა თავისიანები მარცხისაგან.

აშშ-ის გუნდი, რომელიც ავტორიტეტების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის, ორი პერიოდის შემდეგ 4:1 უგებდა უმაღლესი ლიგის დებუტანტს — ლატვიის ნაკრებს, მაგრამ ბოლო მესამედში ბალტიისპირელები გამოფხიზლდნენ, 10 წუთის განმავლობაში ანგარიში გაათანაბრეს და ლამის შეარცხენეს ოკეანის-გაღმელი მეტოქე. თუმცა, გამოუცდელიობამ თავისი ქნა და ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს კრიგერმა მცველთა შეცდომა გამოიყენა.

სალამოს მატჩებში კი ფავორიტები შეგვდნენ ერთმანეთს. ნამდვილი სენსაცია იყო კანადელთა გამანადგურებელი მარცხი შვედებთან. ნაქები პროფესიონალები შეცდომას შეცდომაზე უშედეგოდ მებდრე — მეკარე ბურკი, სკანდინავიელებმაც ბრწყინვალედ ისარგებლეს მეტოქის უხეირობით. განსაკუთრებით კალგარდთან კვლავ ევროპაში დაბრუნებული ნიუ-ლანდერი გამოირჩა. თითო-თითო შაბა კი ალბერტინმა და პოგლუნდმა მიითვალეს.

ფინეთისა და ჩეხეთის შეხვედრაში თავიდან მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ, რაც ნიემინენის შაბაში გამოიხატა, მაგრამ შემდეგ ჩეხებმა ჩვეულ სტილი — კონტრშეტევებისას ორჯერ გამოიჭირეს მეტოქე. ორივე შაბა პროპაზკამ შეაგდო. ჩეხი ნიულანდერთან ერთად სამი შაბით ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია.

„A“ ჯგუფში 4 ქულით ჩეხეთის ნაკრები დაწინაურდა, „B“ ჯგუფში ამდენივე ქულა დააგროვა შვედეთის გუნდმა.

საშემდეგ ღარიბიანი

გუშინ გამართული ზოგიერთი შედეგი: რუსეთი — გერმანია 5:1, იტალია — ლატვია 5:4

29 აპრილი, 1997

NHL. სტენლის თასი

გუგუზო 3-3 მატჩი

ბუფალო — ოტავა 4:4. შაიბები: ოდელი; მაკინენი, ალფრედსონი (2), კანინი-რტა.

ოტავა — ბუფალო 0:3. შაიბები: მონი-ნევი, ფიტინი, დოუ.

პაშეის არყოფნა კვლავ იმოქმედებდა ბუფალოს თამაშზე და შინ „სეიბრზმა“ ვერაფერი მოუხერხა გათამაშებულ ოტავას ბუფალოსათვის ნამდვილ რისხვად იქცა „სენატორთა“ ლიდერი ალფრედსონი, რომელმაც ხუთ მატჩში 5-ჯერ აიღო კარი. ამჯერად მან დუბლი გააკეთა, თანაც გადამწყვეტი შაიბები შეაგდო. გაცხადებულმა მასპინძლებმა ამას უხეში თამაშით უპასუხეს, მაგრამ მეექვსე მატჩში, მოულოდნელად, გაიბრწყინა პაშეის შემცვლელმა შილდზმა. გოლიკებრმა საოცრად ითამაშა — 31 დარტყმა მოიგერია და პირველი „მშრალი“ მატჩი მოთვალა.

რინგვარში 4-1 ფლორიდა

ფლორიდა — რინგვარში 2:3. შაიბები: შაიბი, შეპარდი, მესი (2), ტაკანენი.

ნიუიორკელმა პირველმა განადგურა მეორე ეტაპზე გასულა, რაც გუნდის ვეტერანების წყალობაა. ახლად გამოირჩა მესი, რომელმაც ორი შაიბა შეაგდო და პირადი ანგარიში 108 გოლამდე გაზარდა. გადამწყვეტი გოლი კი ოვერტიმში მეორე „ბენგამი“, სეზონის ბოლოს განკუთვნილად გადმოსულმა ტაკანენმა გაიტანა. გამოცდილ მოთამაშეებზე მეტად რინგვარში ამ სერიამ ფლორიდას გოლიკების — ვანდისბერგის უხეირობამ უშველა.

დებროიტა 4-2 სანტ ლუისი

დებროიტა — სენტ ლუისი 5:2. შაიბები: იონგერმანი, კოზლოვი, მაკარტი, შენ-შანი, ლ. მერფი; მაკინისი, კემპელი.

სენტ ლუისი — დებროიტა 3:3. შაიბები: შაიბი, კოზლოვი, შენ-შანი, მოლტბი.

როგორც ექნა, დებროიტამ ლამაზად მოუღო ბოლო ორი მატჩი სენტ ლუისს. პირველმა მასპინძლებმა პირდაპირ დასეტყვეს „ბლუზმენებს“ გოლიკები ფიურის და ბოლისდაბოლოს, აცდუნეს გამოცდილი მეკარე. კარგად ითამაშეს აიზერმან (1+1)-შენ-შანის (1+2) წყვილი და კვლავ შეამხანაგებულმა რუსებმა, რომლებმაც გადამწყვეტი შაიბა შეაგდეს.

მომდევნო მატჩის დასაწყისი ისეთი იყო, თითქოს სენტ ლუისი დანებებას არ აპირებდა — უკვე მესამე წუთზე ჰალმა დააწინაურა თავისიანები, თუმცა, არც დებროიტა აპირებდა მე-7 მატჩის ჩატარებას და რიტუგზმად გლობალში გატანილი ორი გოლის შემდეგ წინ გავიდა. გადამწყვეტი მესამე პერიოდის დასაწყისი გამოდგა როდესაც არბიტრმა არ ჩათვალა სენტლუისელი ტანკონის შაიბა, რის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ ერთი გოლი გაუშვეს და ჯერ კიდევ სერიაში 3:4 წაგებისათვის.

დალასი 3-3 ედმონტონი

დალასი — ედმონტონი 0:1. შაიბა: სმიტი.

ედმონტონი — დალასი 2:3. შაიბები: გრიგი, ჩერკასკი, ლეპინენი, ბახენი, მოდინი.

დალასელები ნამდვილად გააწამა ედმონტონელთა მეკარემ ჯოზეფმა. შვიდი პერიოდის განმავლობაში უტყვევდნ მასპინძლები მეტოქის კარს, გოლი კი თავად მიიღეს: მეორე ოვერტიმში სმიტმა მსუალო მანძილიდან შეუღო მეტს, ჯოზეფმა კი სერიაში მეორედ „მშრალი“ მატჩი ჩაიწერა. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მატჩში ედმონტონის ბოლო წუთებზე სწავლობდა ბედი, მაგრამ მეექვსე შეხვედრაში წარმატება დალასს ხელა წილად, როდესაც 55-ე წუთზე „ვარსკლავთა“ ლიდერმა მოდინამ გადამწყვეტი შაიბა შეაგდო და გაათანაბრა ანგარიში სერიაში.

ნიუ ჯარზი 4-1 მონრეალი

ნიუ ჯარზი — მონრეალი 4:0. შაიბები: დინი, პოლიტი, მაკინი, ოდელი.

წინა მატჩში მონრეალის გამარჯვებამ მხოლოდ ორი დღით გააგრძელა სერია და თავის მოედანზე „ეშმაკებმა“ მსხი არ დაუტოვეს მეტოქეს. კანადელმა კვლავ სუსტად ითამაშეს დაცვამ, ხოლო ახალგაზრდა გოლიკებმა თვითღირსად ზედზედ მეორედ ვეღარ იხსნა გუნდი. ნიუ ჯარზიმ კვლავ კარგად გამოიყენა რიცხ-

ვმრავლობა და ერთი შაიბა უმცირესობაში შეაგდო (მაკინი); რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩისა და სერიის ბედი.

ფილადეფია 4-1 პიტსბურგი

ფილადეფია — პიტსბურგი 6:3. შაიბები: ლინდროსი, ბრინდამორი (2), ლე-ლერი, კლუტი, პროსპალი; ჰემერი, ლე-მე, ფრენსიზი.

ამ მატჩით მარიო ლემიემ დაასრულა თავისი ხანგრძლივი კარიერა, მასთან ერთად კი ლეის ისტორიის მთელი ერა დამთავრდა. ლემიე (1+1) თავის ბოლო მატჩში საუკეთესო იყო პარტნიორთა შორის, მაგრამ მისი და ივარის ძალისხმევამ მხოლოდ იმისთვის იკმარა, რომ „პენგვინებს“ მეორე პერიოდის შუაგულამდე შენარჩუნებინათ წონასწოება. შემდეგ კი ფილადეფიელებმა იმპლავრეს, ლეკლერისა და კლუტის შაიბებმა კი მასპინძლებს შემდეგი ეტაპისკენ გაუხსნა გზა.

მონრეალი 4-2 რიკამო

რიკამო — მონრეალი 3:6. შაიბები: კარნი, სუტერი, ამონტი, საიკი (2), კემენსი (2), ლემი, დეფმარი.

ამ წყვილში გაიმარჯვა იმ გუნდმა, რომელიც ამას უფრო იმსახურებდა. თუმცა, მატჩი კოლორადომ უხერხულად დაიწყო და უკვე მე-15 წუთისთვის 1:3 აგებდა, მაგრამ ეს იყო და ეს შემდეგ ისეთი თამაში აჩვენა, თანის მფლობელს რომ ეკადრება — სტუმრებმა 6 უპასუხი შაიბა გაახერხეს, თანის საუკეთესო მომხრადიარმა საიკმა (3+9) და კემენსიმ კი დუბლი გააკეთეს. დამარცხებულითა თავკაცს პარტისბურეს იმის თქმავა დარჩენიდა, წელს კოლორადოს გამწვანებული ლეგაში არავინაო.

ანაჰაიმი 3-3 ფინიქსი

ფინიქსი — ანაჰაიმი 2:3. შაიბები: შენ-ნი, ტანუჯი; რარია (2), ბელუზი.

მას შემდეგ, რაც ანაჰაიმმა შინ წააგო და 16 მატჩიანი საშინაო დაუპარცხებული სერია შეწყვიტა, ყველა მოელოდა, რომ ფინიქსი თავის მოედანზე მანის არ გაუშვებდა ხელიდან, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს მოგება და სერიაში ანგარიში გათანაბრება, რასაც ორი გოლის გამტან კარიას უნდა უმაღლოდნენ. ფინიქსელი ტანუჯი კი მორიგე შაიბის შემდეგ 6 გოლით საუკეთესო სნაიპერი გახდა.

სამხელ ლარიბიანი



გასრულდა ესე ამბავი — მარიო ლემიემ უკანასკნელად ითამაშა

კალაბოპრომი

NBA. ფლეი-ოფი

ალგოსკალპითი

ჩიკაგო 2-0 ვაშინგტონი

25 აპრილი: ჩიკაგო — ვაშინგტონი 98:86; 27 აპრილი: ჩიკაგო — ვაშინგტონი 109:104

მიაიამი 2-0 ორლანდო

27 აპრილი: მიაიამი — ორლანდო 104:87

ნიუ იორკი 2-0 ბარსელონი

26 აპრილი: ნიუ იორკი — ბარსელონი 100:93

ატლანტა 1-1 დეტროიტი

25 აპრილი: ატლანტა — დეტროიტი 89:75; 27 აპრილი: დეტროიტი — ატლანტა 93:80

დასავლეთი

ნიუბა 2-0 კლიპერზი

26 აპრილი: ნიუბა — კლიპერზი 105:99

სიეტლი 1-1 ფინიქსი

25 აპრილი: ფინიქსი — სიეტლი 106:101; 27 აპრილი: სიეტლი — ფინიქსი 122:78

პორსტონი 2-0 მინესოტა

26 აპრილი: პორსტონი — მინესოტა 96:84

ლიუიზიანი 2-0 პორტლანდი

25 აპრილი: ლიუიზიანი — პორტლანდი 95:77; 27 აპრილი: ლიუიზიანი — პორტლანდი 107:93

ფორმულა 1
IV მთავარი
სანგ მარინოს ბრან-პრი

„სან მარინოს დიდი პრიზის“ გათამაშება იმოლაში ამ ტრასაზე 1994 წელს დატარებული ტრავედიის გასწვრივით დაიწყო — 25 აპრილს აქ აირტონ სენას მემორიალი გაიხსნა — გასწვრივით ცერემონიას ბრაზილიელი პილოტის ათასობით გულშემატკივარი დაესწრო.

პარასკევის გარეშე კი საკმაოდ მოულოდნელი შედეგით დასრულდა — საუკეთესო დრო 1:25,981 ირენმა აჩვენა. მისი თანაგუნდელი შუმახერი მეორე იყო, ჩემპიონატის ლიდერი ვილნევი მხოლოდ მესამე გახლდათ, ფრენცენი კი მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

ირენი კმაყოფილი იყო შედეგით, მაგრამ განაცხადა, ტრასა მეტად დიდ მოთხრებს უყენებს მუხრუჭებს და ეს პრობლემის მიქმნის. ვილნევი კი თავის უხერხულ შედეგს ძრავის გაუმართაობით ხსნიდა.

წოდებდნენ სეზონში პარასკევის გარეშე „უილიამსის“ პილოტები საუკეთესო შედეგებით ვერ დაიკვეთნენ, მაგრამ შუმახისთვის მათი ბოლიდები საუკეთესო არის ხოლმე მომზადებული და ისინიც პოულს არავის უთმობენ. ასე მოხდა ამჯერადაც, ვილნევი და ფრენცენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უფრო სწრაფი წრის გაგებაში, საბოლოოდ, კანადელმა დისტანცია 1:23,303 (23,953 კმ-ს) გააბრა და თანაგუნდელი 0,343 წამით ჩამოიტოვა. მესამე მხაველ შუმახერი იყო, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ კვირას ბოლიდზე ასვლას შეძლებდა, რადგან სხვაობა „უილიამსის“ პილოტებთან ისეთი დიდი არ გახლდათ, როგორც პირველ ეტაპზე. პარასკევის გვირამ ირენმა მხოლოდ მეცხრე დრო გაახერხა და მუხრუჭების არასწორ ბალანსსა და ნაკლებ მოხვევადობას უჩიოდა. ყველა გააკვირვა რაღაც შუმახერისა და ფიზიკელს მე-5 და მე-6 ადგილებმა. სუსტად გამოვიდნენ „ბენეტონის“ პილოტები ბერგერი და ალუზი, რომლებიც მე-11 და მე-14 პოზიციებზე აღმოჩნდნენ. მეორე „მაკლარენის“ ბიჭებმა გამოიჩინეს თავი და მე-8 (პაკინენი) და მე-10 (კულჰარდი) სასტარტო ადგილები დაიკავეს.

იმოლაში ვილნევი ამ სეზონში მეორე პოული მოიგო, შარშანდღის ჩათვლით კი ეს მისი ზედიზედ მეხუთე პირველი სასტარტო პოზიცია გახლდათ და პილოტს მომავალ რბოლაში გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდა, თუმცა ამბობდა, რომ კვირას ოდნავ უფრო მეტი სისწრაფე ექნებოდა საჭირო.

განლაგება სტარტზე: ვილნევი 1:23,303; ფრენცენი 1:23,646; მ. შუმახერი (ფერარი) 1:23,955; პანი 1:24,075; რ. შუმახერი 1:24,081; ფიზიკელა 1:24,596; ჰერბერტი 1:24,723; პაკინენი 1:24,812; ირენი 1:24,861; კულჰარდი 1:25,077; ბერგერი 1:25,371; ლარინის 1:25,544; ბარიჩელი 1:25,579; ალუზი 1:25,729; პილი 1:25,743; მაგნუსენი 1:26,192; დინი 1:26,253; ნაკანო 1:26,712; სალო 1:26,852; ტრული 1:26,960; ვერსტაპენი 1:27,428; კატაიამა 1:28,727

რბოლა მოდრულად, გრილ ამინდში დაიწყო. გასასურებელ წრეზე პილი ბოქსებიდან გამოვიდა. სტარტმა ახლად ინიციატივის გარეშე ჩაიარა — ვილნევი დაწინაურდა, მეორე მხაველ შუმახერი დაიძრა, მას კი ფრენცენი მიჰყვა. შესანიშნავად აიღო სტარტი ჰერბერტმა, რომელმაც მეშვიდედან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. არ გაუმართლა იარნი ტრული — მან პირველივე წრეზე მიატოვა რბოლა. მეორე წრეზე რაღაც შუმახერმა საუკეთესო დრო აჩვენა — 1:32,744, მისი თანაგუნდელი ფიზიკელა კი ირენს უტევიდა და გასწვრივით მობრუნებულ ადგილს იკებდა. მეოთხე წრეზე მე-20-ედ მასპინძელზე ბერგერი გამოეთიშა რბოლას — მოსახვევში შესვლისას ავსტრიელმა მკვეთრად დაამუხრუჭა, მოკურდა და ტრასიდან გაუარდა. ამასობაში პირველი სამეული დანარჩენებს მოსწყდა. ფრენცენი და ვილნევი, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რიგრიგობით ამაყრებდნენ წრის რეკორდს. მათ შორის მოქცეული მხაველ შუმახერი კი ცდილობდა, ვილნევის არ ჩამორჩენოდა და თანამემამულე (ფრენცენი) უხეიროდ დასწვრივდა. სხვაობა პირველ ორს შორის 1-1,7 წამამდე მერყეობდა, მე-10 წრე კი ორივემ ერთმანეთს დაეკავშირა, მაგრამ პირველი მომენტის დაგვიანება, რომ „ფე-

პირველი შაიბა



ფრენცენი გამარჯვებას ხარობს

რარის“ ბოლიდები სულ უფრო და უფრო სწრაფი ხდება, ხოლო „ბენეტონი“, რომელიც სეზონისწინ ტესტების გაულისას საუკეთესო შედეგებს აჩვენებდა, ყოველთვის ვერ ახერხებს რბოლისთვის კარგად მომზადებას. „ჯორდანის“ ახალგაზრდა პილოტები თანდათან ეჩვევიან სიტუაციას და ლიდერთა შორისაც ხვდებიან. ეაკ ვილნევი ლიდერობა შეინარჩუნა და უახლოეს მდევარს 6 ქულით უსწრებს, მაგრამ რაკი შარშანდღის მონტე-კარლოში მეტად გაუჭირდა ასპარეზობა, შესაძლოა, ამ როლელ ტრასაზე მცირე უპირატესობა უფრო გამოცდილებს — შუმახერს და ბერგეს ჰქონდეთ. თუმცა, ნიჭიერი და უსწრაფესი კანადელი ალბათ არ დანებდება და გამარჯვების მოპოვებას მონაკოს დედაქალაქში შეეცდება.

ალეკო ბაბუკიანი

27 აპრილი. იმოლა. „ენცი და დინო ფერარები“	
დისტანცია: 63 წრე — 308,385 კმ	
1. ფრენცენი (უილიამს-რენი)	1:31.00, 673
2. შუმახერი (ფერარი)	10 ქულა
3. ირენი (ფერარი)	1:31.01, 910
4. ფიზიკელა (ჯორდან-პეი)	6 ქულა
5. ალუზი (ბენეტონ-რენი) ჩამორჩა	1:32.19, 016
6. პაკინენი (მაკლარენ-მერსედესი)	4 ქულა
7. ლარინი (ზაუბერ-ფერარი)	3 ქულა
8. პანი (პროსტ-შუგენ-პონდა)	1 წრით
9. სალო (ტირელ-ფორდი)	1 წრით
10. ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი)	2 წრით
11. კატაიამა (მინარდი-პარტი)	3 წრით

საუკეთესო წრე: ფრენცენი (უილიამს-რენი) 1:25,531	
რბოლას გამოეთიშნენ:	
დინი (ეროს-იამასა)	55 წრე
ვილნევი (უილიამს-რენი)	40 წრე
კულჰარდი (მაკლარენ-ფორდი)	38 წრე
ბარიჩელი (სტიუარტ-ფორდი)	32 წრე
ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი)	18 წრე
რ. შუმახერი (ჯორდან-პეი)	17 წრე
ნაკანო (პროსტ-შუგენ-პონდა)	11 წრე
პილი (ეროს-იამასა)	11 წრე
ბერგერი (ბენეტონ-რენი)	4 წრე
მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი)	2 წრე
ტრული (მინარდი-პარტი)	0 წრე

პირადი პირველობა:

1. ვილნევი — 20 ქულა; 2. მ. შუმახერი 14; 3-7. კულჰარდი, ბერგერი, პაკინენი, ირენი, ფრენცენი — 10-10; 8. პანი 6; 9. რ. შუმახერი 4; 10-12. ჰერბერტი, ალუზი, ფიზიკელა — 3-3; 13. ლარინი — 1.

გუნდური პირველობა

1. უილიამს-რენი 30 ქულა; 2. ფერარი 24; 3. მაკლარენ-მერსედესი 20; 4. ბენეტონ-რენი 13; 5. ჯორდან-პეი 7; 6. პროსტ-შუგენ-პონდა 6; 7. ზაუბერ ფერარი 4.

მელორობოლა

შს რა იპაღრა რიისმა

მოვიდა მრავალდღიანი ტურების ჯერი, თითო-დღიანი რბოლების მსოფლიო თასზე კი პროგრამის ნახევარი გაივლია და აგვისტომდე არაღმკვეთი გამოცდისაა. შეჯიბრისკენ ერთპიროვნული ლიდერი გამოჩნდა — იტალიელი მიკელე ბარტოლი, ვინაც პოლანდიაში აჯობა დანიელ როლფ სორენსენს, რომლის მხარდამხარაც წინა კვირას ბელგიაში ასპარეზობის შემდეგ 164 ქულთი ლიდერობდა.

V რბოლა. შაბათი, 26 აპრილი

„ამსტერდამ გოლფლი“

პეერლენი — მასტრისხტი (258 კმ)

1. ბიარნე რიისი (დანი, დოიჩე-ტელეკომი) 6 საათი: 11 წუთი. 19 წამი; 2. ანდრეა ტაფი (იტალია, მაპეი), 3. ბიტ ცებრეგი (შვეიცარია, მერკატონი-უნო), 4. ლორან რუ (საფრანგეთი, ტმ) და 5. მაურო ჩანეტი (იტალია) ჩამორჩნენ 46 წამით; 6. მიკელე ბარტოლი (იტალია, ტენიკო) 47; 7. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) 48; 8. ანდრე ჩილი (უკრაინა, ლოტო), 9. როლფ ლდუგი (გერმანია, დოიჩე-ტელეკომი), 10. როლფ სორენსენი (დანი, რაბოზანკი), 11. ბენკ ფოგელსი (ავსტრია, განი), 12. კლაუდიო კაპაუნი (იტალია, ასიქსი), 13. ანდრე ტეტეროუკი (ყაზახეთი, ლოტო), 14. როლფ იგერმანი (შვეიცარია, კაზინო) და 15. დავიდ კაზაროტო (იტალია, ჯარინო) ყველა 1.08

33 წლის რიისი 1986 წლიდან პროფესიონალი, მაგრამ აქამდე თითოეული კლასიკური რბოლების სპეციალისტად არაგინ იცნობდა და მათში არასოდეს გაუმარჯვია. ძლიერი მრბოლი და გუნდის ლიდერიც სიბერეშია გახდა, მარშან კი ისე იფაქცა, რომ საფრანგეთის ტურში გაიმარჯვა!

„ტურ-დე-ფრანსის“ მოგება წელსაც დანიელის უმთავრესი მიზანია და მისთვის ნაკადი განრეგითაც უმსაღებდა, მაგრამ პოლანდიაში მაინც გარისკა და ფინიშამდე 35 კილომეტრი რომ დარჩა, მარტო-მარტო გაიქცა. ბიარნეს იმდენი ჯანი და ჯიგარი აღ-მოაჩნდა, რომ წვიმასა და ქარში ეუღალ მიეღწია ფინიშამდე. შიშში მხოლოდ მაშინ გაშა, როცა ერთ მოსახვევში მოცურდა და კინაღამ დაეცა.

მსოფლიო თასის ბოლო ორი წლის მფლობელმა, ბელგიელმა იოჰან მიუხეუდმა 53-ე ადგილი დაიჭირა და უქულოდ დარჩა. ბარტოლიმ უკანა ჯგუფში დატოვა სორენსენი, რომელიც ერთადერთია, ვისაც წელს ქულა ყველა ეტაპზე ერგა.

მსოფლიო თასი: ბარტოლი 196 ქულა; სორენსენი 150; ჟალაბერი 107; ჩილი 104; რიისი, ფრედიკ გედონი (საფრანგეთი, ფრანსე-დე-უო) და ერიკ ცაბელი (გერმანია, დოიჩე-ტელეკომი) 100; კაზაროტო 95; იოჰან მიუხეუდი (ბელგია, მაპეი) 95; ფრედერიკ მონკასენი (საფრანგეთი, განი) და ჯო პლა-ნეტერი (ბელგია, ლოტო) 94; ცებრეგი 92; ტაფი 77; ალბერტო ელი (იტალია, კაზინო) 70; მაქს შანდრი (ნიტრანეთი, ფრანსე-დე-უო) 69

როგორც



რიოსი უცებ გაამდიდრდა

მონტა-პარალს ლია პირველობა წელს მესამედ გაიმართა. მასპინძლებმა დიდი ზეიმი მოაწყვეს. ფინალს საპატიო სტუმრები არ მოკლეს. მიიწვიეს ძველი ჩემპიონები: ბიარნე ბორგი, მანოლო სანტანა, ანდრე ჰესლოვი. ეს რუსი ყავარჯნით დაწლახნობდა, რაკი თებერვალში თამაშისას ფეხი მოიტეხა.

ტურნირი თიხაზე გაიმართა. ორმა საწყისმა დღემ 16 განთიხილიან ერთმანედ 10 შეიწირა. პიტ სამპრისი (აშშ, 1) გააგდო შვედმა მაგუს ლარსონმა, თომას მუსტერი (ავსტრია, 2) — ფრანგმა ფაბრის სანტორომ, ევგენი კა-ფედნიკოვი (რუსეთი, 3) — ნორვეგიელმა კრისტიან რუდელმა. იტალიელმა რენცო ფურლანმა მოინადირა ბორის ბეკერი (გერმანია, 9), ხოლო ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა — ჯიმ კურეი (აშშ, 13).

მეორე დღის ფინალი (25.04): ალექს კორენა (ესპანეთი, 12) — კრისტიან რუდელი (ნორვეგია) 6:2, 6:0; ფაბრის სანტორი (საფრანგეთი) — კარლოს კოსტა (ესპანეთი) 6:3, 7:5; კარლოს მორია (ესპანეთი, 6) — რონარდ კრაიჩეკი (პოლანდია, 4) 1:6, 6:2, 6:4; მარსელო რიოსი (ჩილე, 7) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:2, 6:1

კრაიჩეკმა წინა კვირაში ტოკიოს ტურნირი მოიგო. ამჯერად მას ერთობა გაუწავლა გული მოკვირვითა კისკის-სორბონცმა და მოხილური ტელეფონების ბზუილმა. მასპინძლებს რესტორანი ისე მოეწყობა, რომ იგი მთავარ კორტს ზედ დაეფარებინათ.

ნახევარფინალი (26.04): კორენა — სანტორი 6:4, 6:4; რიოსი — მორია 6:4, 7:5 (7-5) მსოფლიოს 90-ე ჩოგანი სანტორი ტურნირში საგა-

ნებოდ მიიწვიეს და ორგანიზატორებს იმედიც გაუმა-რთლა — მუსტერის გარდა ესპანელ სერხი ბრუგერაც ძლია, ორი კვირის წინ ეშტორილში (პორტუგალია) გა-მარჯვებულ კორენას კი მეორე ხელში ერთი პირობა 4:1 უგებდა. რაც შეეხება ავსტრალიის წლებადელი პირვე-ლობის ფინალისტ მორიასა და თმა-კიონა რიოსის მატჩს, ოგი უკანა ხაზიდან ბათა-ბუთში გაიღია, რაკი ბადესთან არც ერთი გადიოდა და არც მეორე. ჩილეელი მონტე-კარლოს ნახევარფინალში მარშანაც იყო.

ფინალი (27.04): რიოსი — კორენა 6:4, 6:3, 6:3. მატჩმა ორ საათსა და 14 წუთს გასტანა და ერთობ მღარე სანახევო გამოდგა — მონაწილეებმა ისევ უკანა ხაზი ტეკნეს. რიოსმა ოთხი მატჩ-პოინტი გაანია, კორენამ კი იმავე პერიოდში სამი ბრეიკ-პოინტი გაუშვა ხელდან.

21 წლის სანტაგოელმა სტუდენტმა კარიერის მე-ხუთე და სხვებზე სასხელო ტიტული მოიხვეჭა, კლა-სიფიკაციაში ორი საფეხური აიხვეჭა და ჯილდოდ 377 ათასი US\$ მიიღო. ამდენი ფული ჩილეულ ჯგუფს ერთი ტურნიდან აქამდე არასოდეს რგებია.

კორენას მონაგარი 177 ათასი იყო. მანაცა და გამარ-ჯებულმაც ყველას დაანახეს, რომ წლის უმთავრეს სა-თიხნარო შეჯიბრში — საფრანგეთის ლია პირველობაზე, 26 მაისს რომ იწყება, ტოლს აბრავს დაუდებელ.

ფინალში ტურზე კიდევ ორი სათიხნარო ტურნირი იყო: ქალბები ბუდაპეშტში იასპარეხეს, ვაქებმა — ლეიპ-ბუენ-ვისტაში (ორლანდო, ფლო-რიდა).

შენბრძოში საბრზო ფონდი სულ რაღაც 107 500 დოლარი იყო, გამარჯვებულს კი ოდენ 17 700 ერგებო-და. დასიც ამის შესაფერი შეიკრიბა. ნახევარფინალში გავიდნენ სლოვაკი კარნა ჰაბსდოვა (მსოფლიოს მე-11 ჩოგანი), სამხრეთაფრიკელი ანანა კუტცერი (მე-12), ბელგიელი საბინე პელენსი (23-ე) და სლოვაკი, მენრი-ეტა ნადიოვა (35-ე).

ნახევარფინალი (26.04): კუტცერი (2) — ნადი-ოვა (7) 6:7 (5-7), 6:1, 6:0; პელენსი (4) — ჰაბსდოვა (1) 6:2, 6:4. ფინალი (27.04): კუტცე-რი — პელენსი 6:1, 6:0

კუტცერმა ბოლო ჟამს გადაწყვიტა ბუდაპეშტში თა-მაში. ბელგიელი არასტაბილურად აწვიდა, მასზე 11 სა-ნტიმეტრით დაბალი თეთრი აფრიკელი კი ყველა ბურთს მისდევდა და 67 წუთში კიდევ გაიმარჯვა.

ფლორიდაში აშშ-ის სათიხნარო პირველობა იყო. ამერიკელებს თიხა არად ებრუნებოდა და ჩაშური ჰონორარიც მოკრძალებული — 264 250 დოლარი და-აწესეს. და მაინც, მონტე-კარლოში თამაშს ჩანგმა ისევ შინ ასპარეზობა არჩია და კიდევ გაიმარჯვა.

მეორე დღის ფინალი (25.04): მაიკლ ჩანგი (აშშ, 1) — ბაირონ ბლევი (ნიმბაბვე, 7) 7:5, 6:3; ჯეისონ სილოთენბერგი (ავსტრალია, 5) — მარსელო ფილი-პინი (ურუგვაი) 6:7 (3-7), 6:4, 6:4; ქრის ვუდრა-ფი (აშშ, 6) — ალექს ობრაიენი (აშშ, 4) 6:4, 6:7

ტელევიზია

საპარტიპელო დროით!

დღეს, სამშაბათს, 22 აპრილს

7.30 დიდი პარტიპელო 5.00 ჯერჯერობა: სან-მარინოს დიდი პარტიპელო 1.00 კრიკეტი: ინგლისის საგრაფოთა „გემინ-სან-პეტრუსი“ თასი 11.00 მსოფ-ლიო სპორტი (3); 18.00 სპორტი: მსოფლიო ტუ-რნი: 18.30 აზიური ფეხბურთის სეირი; 19.30 გოლფი: ევროპის პროფ-ტური. ესპანეთის ლია პირველობა (რ); 20.30 კრიკეტი: იუზენტი — ალარკონი; 22.30 გოლფი: ფლორიდადან. III დღე; 24.30 ნავალმარ-დობის სამყარო: 1.30 აზიური ფეხბურთი; 2.30 გოლ-ფი: ესპანეთი (-); 3.30 კარტინგი: დუბაის 24-სა-ათა რბოლა; 4.30 მორტოციკლი: სუპერ-ბაიკი. სან-მარინოს დიდი პრიზი. მიზანოდან (რ); 6.00 სპორ-ტი (-); 6.30 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თა-სი

ხვალ, ოთხშაბათს, 30 აპრილს

7.30 მსოფლიო სპორტი (3); 8.30 13-კაცო რაგბი: სუპერ-ლიგა; 10.30 გოლფი: ფლორიდა (-); 12.30 მსოფლიო სპორტი (3); 13.30 სპორტი (-); 14.00 ინ-დური სპორტი; 14.30 მსოფლიო ავტოსპორტი (3); 15.30 ცხენოსნობა: ვოლვო (-); 16.30 გოლფი: ფლო-რიდადან. ბოლო დღე; 18.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოე-თი — ინდოეთი. III თითოეულიანი. სენტ-კინსენტი-დან; 22.00 აზიური სპორტი; 22.45 კრიკეტი (გა-გრძელება); 2.30 მსოფლიო რაგბი; 4.30 გოლფი: პროფ-ტურზე (3); 5.00 კალათბურთი: ფილიპინების ასოციაცია. კვირის რჩეული მატჩი; 6.30 კრიკეტი: III თითოეულიანი (რ)

შუკ, ხუთშაბათს, I მაისს, საღამომდე

7.30 კალათბურთი: ნბა. პლეი-ოფის რჩეული მა-ტჩი (3); 10.00 აზიური სპორტი; 10.30 გოლფი: ბო-ლო დღე (-); 12.30 კრიკეტი: ინგლისი (19.30-მდე) (-) იგივე; (3) მიმობილვა; (3) პირდაპირ; (რ) რჩეული

(5-7), 6:4; გრანტ სტაფორდი (სამხრეთი აფრიკა) — ფრენანდო მელიენი (პრაზილია, მარშანდელი ჩემ-პიონი) 6:3, 6:4. ნახევარფინალი (26.04): სტაფორდი — ეუდრაფი 6:3, 4:6, 6:4; ჩანგი — სილოთენბერგი 4:6, 6:3, 6:3

უიმბლდონის მარშანდელი ნახევარფინალისტი სილოთენბერგი ჩანგს მეორე ხელსაც უგებდა, მაგრამ ორმაგი შეცდომა მოუვიდა და მერე დაყვინა, 26 წლის აფრიკელმა 73-ე ჩოგანმა კი თუმც ტურნირში პირველი ხელი წააგო, საათსა და 49 წუთში მაინც დაამარცხა ამერიკელი მეტოქე.

ფინალი (27.04): ჩანგი — სტაფორდი 4:6, 6:2, 6:1

ჩანგმა წელს მეოთხე, კარიერაში კი 30-ე ტიტული მოიპოვა და გუშინდლიდან კლასიფიკაციის მეორე სა-ფეხურზე მუსტერი შეცვალა.

ამ კვირაში (ჟეპალან თიხაზე)

ქალთა ტურზე: რესპონსის თასი (ჰამბურგი; საბრზო ფონდი 450 ათასი US\$) და ზორვატის ლია პირვე-ლობა (ბოლო; 107 500)

კვთა ტურზე: მე-მე-მეს ლია პირველობა (მიუნხე-ნი; 400 ათასი), ჩენეთის ლია პირველობა (პრად; 340 ათასი) და ეი-თი-ენ-დ-თის თასი (ატლანტა, აშშ; 303 ათასი)

რაგბი

ვიდრე გურთაობა ბაჩაღდებოდეს

მუმიდობით, არმე პარპო!

ბამარჯობა, უიმბლი!

ხალხი ტირიდა. შაბათს ბოლო რაგბი გაიმართა უელსური რაგბის ტაძარად ცნო-ბილ კარდიფის „არმე პარკზე“. ეროვნე-ლი თასის ფინალში „კარდიფი“ 33:26 და-ამარცხა „სკონი“ და ჯილდოს მეშვიდედ დაეუფლა.


„პარკი“, რომელზეც უელსის ნაკრებს 174-ჯერ უთამაშია, მალე დაანგრევენ, რათა მის ადგილზე 160 მილიონ გირვანდ შეფასე-ბული „ათასწლეულის სტადიონი“ ააშენონ. მასზე 73 500 დასაჯდომი იქნება, სახურავი კი დარში აიხვეჭება ხოლმე.

ახალმა სარბიელმა 1999 წლის შემოდგო-მაზე მსოფლიო თასის უმთავრეს მატჩებს უნდა უმასპინძლოს. იმ წლის იანვარში „ათასწლეულის სტადიონი“ 35 ათასს დაი-ტევს უელსი — მანუ-სამოას მატჩზე, ზოთი ერის პირველობის დროს კი ტევადობა უშვე 55 ათასი ექნება.

ახლა არ იკითხავთ, 1999 წლამდე სად უმასპინძლებს უელსი მეტოქეებს? — სადა და შეაჯულ ინგლისში, ჩრდილოეთ ლონ-დონში მდებარე „უემბლიზე“, რომელიც ინგლისური ფეხბურთის მექა და სადაც რაგბის 13-კაცო ეკითხილი ლიმიტ უმ-თავრეს მატჩებს — თასის ფინალსა და ნა-კრების ზოგ ტესტს მართავს ხოლმე.

„უემბლი“ უელსის რაგბის კავშირს თავი თავად შესთავაზა. უელსელ მამებს, რა თქმა უნდა, სამხრეთი ლონდონის უფრო კეთილ-მოწყობილ თეიქნების სარაგბო სტადიონზე ერჩიათ თამაში, მაგრამ გულშემატკივართა და თვით მოთამაშეთა გამოკითხვით „უემბ-ლიზე“ შეიხვეწა გადაწყვედა.

არჩევანი გაამართლეს იმით, რომ რაკი თეიქნები უელსელთა უმთავრესი მეტოქის — ინგლისის ნახსენებელია, გუნდი იქ თავს შინ გერასოდეს იგრძნობს. რაც შეეხება „უემბლის“, იგი უელსიდან არც შორსაა და იქაურ მომარაგებებსაც რაიმე განსაკუთრე-ბული ემოციებს ვერ აღუძრავს.



უემ-12-ის სერიალი IX კვირა: 25.04. ქენთე-ბრი (ახალი ზელანდია) — პაუტენზი (სამხრეთი აფ-რიკა) 23:0 (3); 26.04. ევლინგთონი (ზელ) — ოთაგო (ზელ) 60:34 (9-ლენ). კანტერბერი (ავსტრალია) — აბა-ლი სამხრეთი უელსი (ავსტ) 56:9 (8); ნარიჩი (აფრ) — ვაიკაიო (ზელ) 27:13 (4-ლენ); 27.04. ოქლენდი (ზელ) — ნა-ტალი (აფრ) 39:17 (5-ლენ) ოქლენდი 35 ქულა (8 თამაშიდან), კან-ტერბერი 31 (9), ევლინგთონი და ნატალი 27 (8); პაუტენზი 22 (8), ნარიჩი 19 (9), ქენ-თებრი, აბ. სამხრ. უელსი და ჩრდ. ტრანსვა-ლი (აფრ) 16 (8), ვაიკაიო 13 (8), ოთა-გო 12 (8), ქენზლენდი (ავსტ) 10 (8) შაბათს ოქლენდი ეწვევა ოთაგოს, ხოლო ნატალი — ქენზლენდს. პლეი-ოფში მონაწილე ოთხეული გადის. ფი-ნალი 31 მაისსაა!

„სარბიელში“ რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ 95 26 90

რაგბის კლუბი „ფორტი“ აცხადებს 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭ-ების მიღებას.



მწვრთნელ ნუჯარ მაღალურაძეს მომავალი მობურთაღიბილთურთი მაკი-თხეთ ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარას-კევს, დღის 5 საათიდან, ვაკის სტადიონ-ის ტაბლოსთან.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ მიმამელია

რედაქტორი თამაზ მიმამელია

სარედაქციო კომიტეტი: ილია ბაბუნაშვილი, პასტაზ ბეზიკაძე, ზაალ გიბინაშვილი, მირაზ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოლუაძე, კონა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაც-ხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინგიაკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება: ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკლაშვილი, ილია მჭე-ბე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტაჟები: გურამ დოლეუშაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აპხიანიძე

კომპიუტერული ცენტრი: ინგა აკოფაშვილი, ნინო ლევაძე, სვეტა დეგვიძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბუღა სატაშვილი, გურამ ზედაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი ბიორბი იმრომშაშვილი

გამომცემელი ზურაბ ჟორცხაძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პა-სუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზარი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილობისა და სხვა საფოსტო გაზვნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.

ტელეფონი: 39 48 29